



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„თბილისის დაპყრობის წიგნი“

„თბილისის დაპყრობის წიგნი“, ოსმალო ავტორის - გურჯიბადეს თხზულება. დაწერილია 1724. მასში აღნერილია 1723-24 ოსმალთაგან თბილისისა და, საერთოდ, ქართლის (გორის, ქსნის, ყარა-კალკანის ანუ არაგვის საერისთავოს, თრიალეთისა და სხვ.) დაპყრობის ისტორია, ატენისა და ცხინვალის ბრძოლები, შამშადილისა და ყაბახის დაპყრობა, ლეკებთან შეჯახება დიღომში. სტრატეგიული თვალსაზრისით დახასიათებულია თრიალეთი და საბარათიანო, გუჯარეთი და ქსნის საერისთავო. აქტ. მოქმედი პირები არიან: ვახტანგ VI, ბაქარი, იესე, კონსტანტინე II (მაჰმადყულისანი), გივი ამილახვარი, არაგვისა და ქსნის ერისთავები; აღნერილია განჯისა და ერევნის ციხეთა დაპყრობა. ვრცლად არის წარმოდგენილი ოსმალთა წინააღმდეგ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების გაერთიანებული ძალით მოქმედების გეგმა (ხელმძღვ. მაჰმადყული-ხანი). თხზულება შინაარსით ფართოა და მასშტაბური, იგი გასათვალისწინებელი ძეგლია XVIII ს. I მეოთხედის ქართლისა და საერთოდ სამხრ. კავკასიის ხალხთა პოლიტ. ისტორიის მრავალი საკითხის გასარკვევად.

პუბლ.: გურჯიბადე, თბილისის დაპყრობის წიგნი. თურქ. ტექსტი ქართ. თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, თბ., 1975.

ლიტ.: ს ვ ა ნ ი ძ ე მ., ატენის ბრძოლის ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისათვის თურქული წყაროების მიხედვით, კრ.: საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, [ტ.] 2, თბ., 1979; А б у л а д з е Ц. А., Османские «книги» о вторжении Турции в страны Восточного Закавказья в 1723-1724 гг., «Источниковедческие разыскания. 1982», Тб., 1985.

